# ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის საპილოტე გადაწყვეტილებები საქართველოში

*საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების მთავარი წყარო მუნიციპალური ჩამდინარე წყლებია, რაც იწვევს ეკოლოგიურ და ჯანმრთელობის პრობლემებს.*

SOSNA občianske združenie

Caritas Czech Republic

SlovakAid GOOD IDEA SLOVAKIA

## პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ჩამდინარე წყლების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში ონის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხელი შეუწყოს საქართველოში წყლის ხარისხისა და რესურსების მართვას.

## პროექტის შედეგები:

**ჩამდინარე წყლების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობა ონის მუნიციპალიტეტში:**

- წინასწარ შერჩეულ ცხელ წერტილებში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება ჩამდინარე წყლების მართვის სხვა და სხვა მდგრადი გადაწყვეტილებების აღწერით.
- ჩამდინარე წყლების მართვის შესაფერისი მიდგომების პილოტირება – წყლის სეპტიკური გაწმენდის სისტემები, ჭაობები, ბიოტუალეტები და სხვ.
- ასინიზაციის მანქანის შეძენა ჩამდინარე წყლების მართვის ადგილებიდან ნარჩენების მართვის უზრუნველსაყოფად.

**ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაზრდა ჩამდინარე წყლების მართვის ღონისძიებების დანერგვის მიზნით:**

- ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავება.
- სახელმწიფო უწყებების, თვითმმართველობების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ჩამდინარე წყლების მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

### პროექტი მხარს დაუჭერს შემდეგი მიზნების მიღწევას:

**SDG3** – ჯანსაღი ცხოვრების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ყველა ასაკში.

**SDG6** – წყალსა და სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობა და მდგრადი მართვა ყველასთვის.

## სამიზნე ჯგუფები:

- ონის მუნიციპალიტეტის მთავრობა
- წყალმომარაგების ადგილობრივი კომპანია
- ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, რომელიც მიიღებს უსაფრთხო სასმელ წყალს და გაუუმჯობესდება სანიტარული და ჰიგიენური პირობები


**ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში**

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015



პროექტი დაფინანსებულია სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს მიერ